სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

11 მაისი, 2026 წელი

**ბრძანება № 01-02/85**

**2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის „ERASMUS +“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პოლონეთში, პოზნანის ფიზიკური აღზრდის უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობაში მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო მობილობის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილების, ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2026 წლის 11 მაისის MES 7 26 0000559177 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის „ERASMUS +“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პოლონეთში, პოზნანის ფიზიკური აღზრდის უნივერსიტეტში ერთ ვაკანტურ ადგილზე, ბსუ-ს ტურიზმის მიმართულების საერთაშორისო მობილობაში მონაწილე **ბსუ-ს სტუდენტთა გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები:**

1.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი **ბსუ-ს სტუდენტების მიერ** - ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილებით განსაზღვრული) **მიღება - 2026 წლის 11 მაისიდან - 14 მაისის ჩათვლით, 12:00 საათამდე;**

1.2. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - **2026 წლის 14 მაისი 16:00 საათი;**

1.3. ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში (ინგლისური ენა B1) - **2026 წლის 15 მაისი, 10:00 საათი,** საგამოცდო ცენტრი, №4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12 (ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან);

1.4. გასაუბრება კომისიასთან - **2026 წლის 15 მაისი, 16:00 საათი.**

1.5. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული **კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება** მიმღები უნივერსიტეტისათვის - არაუგვიანეს **2026 წლის 18 მაისისა.**

2. დამტკიცდეს **კომისიის შემადგენლობა:**

ა) ტიტე არაშიძე - თავმჯდომარე, ბსუ-ს რექტორი;

ბ) გიორგი ქათამაძე - თავმჯდომარის მოადგილე, ბსუ-ს რექტორის მოადგილე;

გ) თამარ სირაძე - ბსუ-ს რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) თამარ დუნდუა - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი - კომისიის მდივანი;
ვ) ნარგიზ ფალავანდიშვილი - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.
5. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

**ბსუ-ს რექტორი** **ტიტე არაშიძე**